ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია
კეთილი მგზავრობა

13.11.2025
N11-24

მოგახსენებთ, რომ 2025 წლის 5 ნოემბრის წერილით № 29_5MSP25 შპს „ემკვადრატის პარკი 5“-მა (ს/კ 405652253) გვაცნობა, რომ საკადასტრო კოდით N 01.10.10.025.117 რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე მიმდინარეობს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო სამუშაოები. აღნიშნულთან დაკავშირებით, თქვენი ინფორმაციით, მშენებლობის პროცესში ექსპლუატაციაშია კოშკურა ამწე, რომლის ისარიც გარკვეულ დიაპაზონზე ჰაერში კვეთს სს ,,ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას'' (ს/კ 202161098) საკუთრებაში არსებულ, საკადასტრო კოდით N 01.10.10.025.434 რეგისტრირებულ უძრავ ქონებას.

წინამდებარე წერილით , სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“, როგორც ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრე ადასტურებს, რომ არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ კოშკურა ამწის ექსპლუატაცია საკადასტრო ერთეულის N01.10.10.025.434 სივრცული გადაკვეთით წერილზე N 29_5MSP25 თანდართული დანართის შესაბამისად, იმ პირობით, რომ რაიმე ხელშეშლის ან სხვა საჭიროების შემთხვევაში, მესაკუთრის შესაბამისი მოთხოვნის მიღებისთანავე, არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში, ვალდებული იქნებით შეწყვიტოთ ჩვენი საკუთრების ობიექტის რეგისტრირებული საზღვრების გადაკვეთით ტექნიკის ექსპლუატაცია.

აღნიშნული თანხმობა არ გულისხმობს სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-ს მხრიდან უძრავი ქონების რაიმე ფორმით სარგებლობის უფლების გადაცემას, არამედ წარმოადგენს მხოლოდ დროებით თანხმობას ტექნიკური პროცესის განხორციელების უზრუნველსაყოფად.

გენერალური დირექტორი
ვასილ ხორავა

ს.ს. ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია · ს/კ 202161098
ი.ჭავჭავაძის გამზ. 74ბ, 0179, თბილისი, საქართველო
WWW.WISSOL.GE
OFFICE@WISSOL.GE
ცხელი ხაზი *1000
ტელ. +995 32 291 53 15

შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა თბილისი“

საქართველო, თბილისი

მარშალ გელოვანის გამზ.#1

ტელ: +995 577 992997

ელ.ფოსტა: admin@buckswood.ge

LTD “Buckswood International School Tbilisi”

Tbilisi, Georgia,

Marshal Gelovani Avenue.#1

+995 577 992997

E-mail: admin@buckswood.ge

**შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა თბილისი“**

**საიდ. კოდი: 405712082**

**მისამართი: თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი 1**

**თარიღი:11/11/2025წ.**

2025 წლის 05 ნოემბრის წერილის (N28_5MSP25) პასუხად გაცნობებთ, რომ შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა თბილისი“, როგორც მიწის ნაკვეთის მესაკუთრე , ეთანხმება დანართით განსაზღვრული ამწის ექსპლუატაციას ჩვენს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე / მისი გამოყენებით, იმ პირობით, რომ სამუშაოები შესრულდება კანონმდებლობით დადგენილი წესით, უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით და ისე, რომ არ შეიქმნას რისკი გარემოს, სკოლის ინფრასტრუქტურისა და ადამიანთა უსაფრთხოებისთვის.

აღნიშნული თანხმობა გაიცემა მხოლოდ დანართში მითითებული სამუშაოების განხორციელების ვადით და მოცულობით. ნებისმიერი დამატებითი სამუშაოს ან ამწის სხვა მიზნით გამოყენება საჭიროებს ჩვენი მხრიდან წინასწარ წერილობით თანხმობას.

შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა თბილისი“-ს

დირექტორი

ალექსანდრე ვაშაკიძე